



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ენციკლოპედიის  
ქრონიკული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ II

კრებულები

მეფე თეიმურაზ მეორე  
კრებული

## ხილთა ქება

1 მარწყვმან თქვა: "მოვალ პირველად, მე ვერ მომისწრებს ხილია, ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საჭმელად ტკბილია, წინ რასა მისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილია, მისგან ჩივიან ყველანი - «ვჭამე, მომკვეთა კბილია».

2 ტყემალმა უთხრა: «შეგარცხვენს ეგ შენი საუბარია, უარესი ხარ ყველასა, არა ხარ ხილთა დარია, თავსა მოგჭამენ ჭიანი, - ძირი გაქვს მეტად მწარია, უჩემოდ ლხინი არ ვარგა, არცარა სანუკვარია».

3 ბალმან უთხრა: «ამხანაგო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა, ხესა თეთრად ავაყვავებ, დავამშვენებ ჩემსა ძირსა, თავსა ბროლსა დავამსგავსებ, მერმე ლალსა გამჭვირვარსა, შაქრის მსგავსად გარდვიქცევი, რა ჩამიდებს კაცი პირსა».

4 ჟოლო იკადრებს ქებასა: «აწ ვიტყვი, რაცა მხვდებისა, მოვლენ ყველანი მფრინველნი, ჩემზედან შემოსხდებისა, კაცნი მრავალნი მეძებენ, ადვილად ვერ მომხვდებისა, სიყვარულითა ჩემითა მჭამენ და ვერ განძღებისა».

5 კიტრმან თქვა: «რალა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა: ტკბილი და მჟავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა? გრილი ვარ, კაცსა გავბერავ, მერმე თავი ვარ სნებისა, ვინც რომ ჩემითა გაძღების, ციებაც შეექნებისა».

6 ნესვმან თქვა: «ფჩივი ამისთვის - მიწასა მომაცრიანო, მოვლენ, მეძებენ, მპოებენ, ხორცსა დანითა მჭრიანო, რა გავიზღები, საჭმელად ყველანი მინატრიანო, ციებას, მერმე ცხელებას, ჭირს ჩემგან შეიყრიანო».

7 თხილმან თქვა: «გკადრო მართალი ჩემი პასუხი გულისა. ყველანი უბნობთ, იკვებით, მე იმან გამაგულისა, სალხინოდ შესაქცევარი მე ვარ ყოვლისა სჯულისა, კბილისა მატკინებელი, მერმე დამწველი გულისა».

8 მაყვალმან უთხრა: «არა ვარ ხილი თქვენებრი ქებული, უარესი ვარ ყველასა, არვისგან მოწონებული, ზედან მასხია ეკალი, ვარ მისთვის დაწუნებული, პირველ გახლავარ ყირმიზი, მერმე პირ-გაშავებული».

9 საზამთრო იტყვის: «ნუ უბნობთ, მე არვის დაგიცილებო. თავსა ნუ იქებთ ჩემთანა - მე ყველას დაგაწბილებო, მე ჯალინოზ ვარ ექიმი, სნეულთა მოვალხინებო, სიცხითა შეწუხებულსა მე გულსა მოუგრილებო».

10 ატამმან უთხრა: «რა გკადრო საქმე ქებისა ჩემისა? უკეთესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავისა, შეყრა უხარის ყველასა ტურფისა სანახავისა, მე და ნესვი ვართ ყოვლისა ამშლელი სენთა თავისა».

11 ვაშლმან უთხრა: «შვენებითა თქვენ ვერა ხართ ჩემი დარი, ვარ ყოველთა საქებარი, მე ვარ თქვენი მაქებარი, სალხინო და სანადიმო სუფრაზედან სადებარი, გულის ჭირის უკუმყრელი - არად უნდა საუბარი».

12 ბროწეულმან თქვა: «უბნობთო მართლითა სამართალითა, ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა, მე ჩემსა ხესა მოგვაზმავ, ტურფად შევამკობ ხილითა, დარბაზს სუფრასა ავავსებ იაგუნდითა, ლალითა».

13 ნიგოზმანცა თქვა: «მე კაცნი ჯოხსა მესვრიან ხელითა, გამტეხენ, ტყავსა გამხდიან, პირს ჩამიგდებენ ხელითა, გულითა მასპინძელი ვარ ნიადაგ მხიარულითა,კაცსა საჭმელსა შეუმკობ, კიდეც ვალხინებ სულითა».

14 ყურძენმა უთხრა: «ვაგლახ თქვენ, რას უბნობთ ცუდ- მაშვრალია? კაცნი ყოვლისა ქვეყანას ჩემგან არიან მთვრალია, - ჩემთანა თქვენი ხსენება დიდი ცოდვა და ბრალია, - გული ექმნების ლომისა და მერმე დევთა ძალია».

15 ქლიავმან უთხრა: «იკვებით, არა ხართ ჩემი დარია, ყველა უგვარო შეყრილხართ, ცუდი გაქვსთ საუბარია, ამ ცოტას ხნისა სიცოცხლე რა თქვენი საკვებარია? უფრო უყვარვარ ყველასა, ვარ მათი სანუკვარია».

16 სხალმან თქვა: «მეცა მაუბნეთ - არა ვარ თქვენი დარია,ჩემი ხე თეთრად აყვავდეს, გაეღოს გულის კარია, როდეს მწიფობა მოვიდეს, ერთმანეთს უთხრან: «მარია» ავადმყოფს ვარგებ, და მთელსა შაქრად

გაუხდეს პირია».

17 ჭერამი იტყვის: «თქვენ ჩემსა ვერ იტყვით ვერას ძვირსაო, ჩემი ხე თეთრად აყვავდეს, მსმელნი სხდეს მისსა ძირსაო, როდესაც თვალი შეერთვის, მოინდომებენ ჭირსაო, კაცი მჭამს - ჭირსა შეიყრის, მერმე მაგინებს ფირსაო».

18 ალიბუხარა იკადრებს: «მომჟავო ვარო მე დია,წამლად მეძებენ ყველანი, არ მედარების მე ბია, ყველა ტყუიან ჩემთანა: კვინჩხო, რას იარებია? დრამით ამწონენ ვაჭარნი, მე მაქვს ასეთი ბედია».

19 აწ უნაბი მოახსენებს: «ჩემი ქება თქვენ რა სთქვითა? ყირმიზი ვარ ლალივითა და მკურნალი მე თავითა, აქიმები დამეძებენ, ზღვას შედიან სულ ნავითა, ჩემთან ყველა ცუდი რამ ხართ, შეიმოსნით თქვენ შავითა».

20 შინდი იტყვის: «შემოდგომას ჩემი არის გახარება, ყველას უწინ აყვავდები, კაცი ჩემკენ იარება, ყირმიზობით ლალსა ვჯობვარ, არსად მინდა მე ტარება, სანუკვარად ისეთი ვარ, ყველამა თქვას ნეტარება».

21 ფშატმან თქვა: «ნეტამც იკადროთ თქვენ ჩემი შემოხედვაო! საჭმელად შესაქცევარი. ხელს მოუჭირებ ჰხედაო, მზის შუქი ასე დამაჭკნობს, ყველა მე მეტყვის «ბედ-აო» ჩემის ყვავილის სურნელი ყველაყამ იცით ხედაო».

22 ლელვი ამას მოგახსენებ: «ტკბილი ვარ და შვენიერი, სამოთხიდამ გამოსული, მე ძირი მაქვს ნებიერი, ქრისტე ღმერთმან მომიწონა, მე საჭმელად მომყო პირი, თუ გაძღების ჩემით კაცი, მოეცემის მაშინ ფერი».

23 მალაჩინ სხალი იკადრებს ხელმწიფურისა ენითა: «ყოვლის ხილისა უფროსი, საჭმელად შაქრად მთელითა, არავის დაგედარები - სიმართლე თქვენცა ჰქენითა! - ყველა ხართ კაცის ურგები, მუცელს აავსებთ სენითა».

24 კომში იტყვის: «მოისმინეთ, თუ რას ვიტყვი ჩემს ქებასა; ხესა თეთრად ავაყვავებ, ბამბას მოვართმევ დედასა, როს გავყვითლდები, სუნი მაქვს, მე მუშკ-ამბარი მბერავსა, სანუკვარი ვარ სუფრისა, ყოველი მსმელი მხედავსა».

25 ხურმა ბრძანებს: «ჩემო ძმანო, მე თქვენი ვარ ხელმწიფეო, ნახეთ ჩემი

გემო, სიტკბო, მჭამელთათვის სიეფეო, ასრე ძვირად ვიშოვები - ძლივ მიშოვნის მე მეფეო, ინდოეთით გამოსული, ტირილით ცრემლთა მჩქეფეო».

26 თურინჯი ბრძანებს: «არ მინდა მე კაცთა ქებანიაო, ხელმწიფეთ სანუკვარი ვარ, არ მაქვს მე კლებანიაო, ყვითლად მომიბამს ჩემი ხე, არა მაქვს ზოგანიაო, ნურვინ მედრებით, არა ვარ თქვენი ძმა, არც დანიაო».

27 აწ ნარინჯი მოგახსენებ: «არც მე ვარ უარესია, ჯერ ვარ სამოთხით მოსული, მერმედ ხელმწიფედ ესია, ზამთრით, ზაფხულით ჩემი ხე მწვანე და მშვენიერია, ყველას უყვარვარ სულითა, არა ვარ წამად ბერია».

28 ლიმონ იტყვის: «სიმჟავითა არვინა ხართ ჩემი დარი, მაგრამ ფერი მეც კარგი მაქვს, ამითა ვარ თქვენი დარი, ჩემი წვენი წამალია, არ ტყემალთან დასადარი, თქვენ ამისი სწორი რა გჭირსთ? - ჩემს მჭამელს აქვს ავი ქარი».

29 პანტაცა სხალი ერევის: «მუდამ ვარ ხმელი ჩირაო, ყოვლი ნადირი მე მეძებს: დათვი, ღორი და სირაო, სოფლად მივქონდე ურმითა, არვინ გაიღოს ქირაო, შავი ვარ და დამქნარი ვარ, მე არ მივარგა პირაო».

30 კვინჩხი იტყვის: «შენ რას ამბობ? შავი ვარ და მარგებელი, ჩემს ხეზედა ბულბული ზის, შენ მოგძებნის ყოვლი მელი, ავადმყოფსა მოუხდები, და კაცი მჭამს მერმე მთელი, სიმდაბლითა ნუ მიწუნებ, მე არა ვარ აგრე ბელი!»

31 ფისტა იტყვის: «თხილო, შენ ხარ ავის გვარით გამოსული, კბილისათვის მაწყინარი, შენ გამოგდის ავი სული, მე ვარ კაცის შემაქცევი, მწვანე არის ჩემი გული, პირი სრულად გაშლილი მაქვს, არ ამომდის ავი სული».

32 წიფელი გაებაასა ფისტას, თხილსა და კაკალსა: «თქვენი ლაყაფი ცუდია, დავეგვანები მე ლალსა,

კუბოში ვზივარ, გამოვალ - ზამთრივ ვახარებ მელასა, მაღალს ხეზედან ვასხივარ, არ თუ დაბალსა თელასა».

33 კუნელი იტყვის: «მე თქვენში ვერა მჯობია ხილია, როს ავეყავდები,

მას უკან წითელი ვარ და ლბილია, მაგრამ საჭმელად ცუდი ვარ, არა მაქვს ავი ჩრდილია, ყოვლი ფრინველი წამილებს, არა მჭამს ტურა, მგელია».

34 დათვი-თხილა უკან მისდევს: «მეც აქა ვარ ხილიაო! ღორი, დათვი, მელა, მგელი - ჩემთვის ყველა ლხინიაო, მამძებნიან, მიპოვნია - ჩემს ქვეშ წვანან მთელიაო, რკოვ და წიფელო, რას ლაყბობთ? - ნურც ფერობას ელიაო».

35 რკო და წიფელი გაიბრჭვნენ, არვინ ახსენეს მრთელია, რკო ამას იტყვის: "მრთელი ვარ, ჩემით გაძღების ღორია, კაცთა საჭმელად მეძებენ, მე შემამტყორცონ ტორია, ვინცა სჭამს წიფელს, გულს დასწვავს, ჭირი არა აქვს შორია».

36 ასკილი ეტყვის კუნელსა: «ვაი შენ, ცუდათ ჰქარაო, მე ვარ კარგი და ლამაზი ენად მოყბედი ჩქარაო, ჩემი ყვავილი შენა გჯობს, მზესა არ დავიფარაო, შემოდგომაზე მწიფე ვარ, ქალ-ყმანი მოვლენ ფარაო».

37 აწ ნუში იტყვის: «ამითა ვერ იტყვით ჩემსა ძვირსაო, ჩემი ხე წითლად აყვავდეს, ლხინია მისსა ძირსაო, კბილისა მატკინარი ვარ, მით მაგინებენ ფირსაო, წამლად, საჭმელად კარგი ვარ, ამით ვჯობივარ ხილსაო».

38 პური და ღვინო გაიბრჭვნენ, არც ერთი არას იტყვისა; პურმან ეს უთხრა ღვინოსა: «ყველანი შენთვის ყმუისა, თუ ჭირვეული არ იყო, მე ვიტყვი შენთვის უისა, ჩემით გაძღების ქვეყანა და ნახვა ჩემი სურისა».

39 ღვინომ უთხრა: «შენმა მზემან, პურო, გრილი ხარ დიაო, მამწონს შენი სიბარაქე და ღერო შენის ხისაო, მრავლად გამოვა ნაყოფი, ყველასთვის მითქვამს მეაო, განა არ იცი, უჩემოდ შენი არ წაღმა სვიაო?»

40 ორივ ერთად შევიყარნეთ; ყოვლს სულდგმულს ჰშვენის ფერია, ხელმწიფენი და გლახაკნი - ჩვენგნით იხარებს მთელია, ბალი, ბაღჩა და ხილები სახსენებელად ჩვენია, ჭკვიანი ხელად გარდიქცეს, უჭკვოს მიეცეს სენია».

ქება სრისა

1 ჰქმნა ღმერთმან ცანი, ქვეყანა შეამკო ზევით-ქვევითა, ცანი აღავსნა ვარსკვლავით სფეროში შემოკრებითა, შვიდნი ცთომილნი დაბადნა შუქფენით ბურჯებს რებითა, ექვსს დღეს მზადა ქმნა ესენი, სიტყვა ვსთქვა შემოკლებითა.

2 დაბადნა ანგელოზთ დასნი - ქერაბინ, სერაბინები, კაცისა დასაბადებლად მიწისგან დასდვა ბინები, ჰქმნა ადამ ხატად თავისად, ეტყვის: "ხარ დასაძინები." გვერდით უშენა მას ცოლი ადამის გასაკვირვები.

3 უკვდავად ქმნილი ადამ სცდა - დაეცა ეშმაკისაგან; ჩვენ დაცემულნი ჯოჯოხეთს ტანჯულნი გენისაგან: მე ღმრთისა განხორციელდა - ნახეთ სიმდაბლე ღმრთისაგან! ჯვარცმით, დაფლვით და აღდგომით დაგვიხსნა ტყვეობისაგან.

4 ღმრთის მოწყალებას ვინ აღრაცხს, კაცზედ რამდენი მივა- და! მოკლედ ვსთქვა ჩემნი საქმენი, რაც ხანი წამივლია-და, სოფლისგან განსაცდელეები მე ბევრი მამვლენია-და, ქრისტესა გამოუხსნივარ, ჭირები მამლხენია-და.

5 რაც ამ სოფელსა ღმრთისაგან მომეცა წყალობანია, არ ძალმიცს მისად სანაცვლოდ შევსწირო მადლობანია; თუ, ვითა ღირსმყო ხარისხსა, დავიწყო წარმოთქმანია, ორმოცდაოთხის წლისასა მერწმუნა მეფობანია.

6 ღმერთმან მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაის მიზეზობით, ჯერ მფლობელმყო კახეთისა, მერმე ქართლში მემკვიდრობით, კახეთშია ჩემ ძეს დასვამს - ერეკლესა - მეფედ ხმობით, ოცდაოთხის წლისა იყო, როს პატივ სდევს ბატონობით.

7 მას ჟამს ჩემს დისწულს, მეფის ძეს, ანტონის, კაცსა ღმრთისასა, ვარწმუნეთ პატრიარქობა ოცდაოთხისა წლისასა, ბრალთა სიმრავლით უღირსსა მადლს მომფენს კურთხევისასა, მცხეთას მოიღო კურთხევა, ზეთს მცხებდა მეფობისასა.

8 ვიყავ ქართლშიგან მტრისაგან ერთს ალაგს ვერ დავდგებოდი: იქით და აქათ მუდამით ვლაშქრობდი, ვიარებოდი, ავს დროს განსაცდელისაგან ჯარშია ვიმყოფებოდი. სევდისა მოსაქარვებლად ამ სახლებზედა



ვშვრებოდი.

9 ავამენებდი სასახლეს, საწოლსა აივანებით, შემკული ზევით-ქვევითა ლამაზად ბალახანებით, შუაზედ აინახანა დახატვით მიჭვრიტანებით, ეს შევასრულე სალხინოდ, შიგ ვსვემდი დოსტაქანებით.

10 უწინ, სიყრმის დროს, მენახა ნაშენი უცხოებითა, სამნი მორთულნი სახლები ვარაყით, სარკეებითა, მეფეებისგან ნაშენი კვეხნით და დაქადებითა, თითოსა თითო აეგო დიდ ხარჯით და ფასებითა.

11 როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელიანი, ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი, თვით როსტომ ფალავანი და დევნი ეხატა რქიანი, შაემკო დიდად, დაედვა სახელად როსტომიანი.

12 ერთი სრა მამის ჩემისა, მეფის ერეკლეს გებული, ხელმწიფეთ საკადრისი და ქვეყნისგან მოწონებული, სარკით და ოქროს ვარაყით შემთხვევით განათებული, მეფეთ და დარბაისელთთვის სალხინოდ დამზადებული.

13 სრა ერთი მეფის ვახტანგის უცხოულებით ნაგები, საკვირველი და საქები, მას უხდებოდა სარკები, შუაზედ შანიშინი და აუზით შადრევანები, ფერად-ფერადის ჯამებით შეხამებული ფანჯრები.

14 ავზს უხდებოდა შუაზედ ბროლისა ხომლის კიდება, როს მეფე-სპანი ლხინობდენ, დღეს რომ შეჰქნოდა ბინდება, შეღამდის, ხომლზედ განწყობილს კელაპტრებს მოეკიდება, შიგ მსხდომნი კედლებს სჭვრეტდიან, ეგონისთ - გარს გვეკიდება.

15 ერთიცა სახლი, უზეშთე ერანშიც არ ნახულა-და! იმ სრისა ქება, სიკეთე ქვეყანას ხმა განთქმულა-და, როგორც მას ჰფერობს ქებანი, შესხმა არ ძალმიც სრულადა, სხვებს სრებსა ყველას ის სჯობდა, მისებრივ არ დადგმულა-და.

16 სრას უხდებოდა ხელმწიფე თაჯითურთ ჯიღებიანი, თვით მეფე ვახტანგ შიგ მჯდომი ძმებითურთ შვილებიანი, გვერდს ახლდენ დარბაისელნი, მორთულნი, ბიღებიანი, უკეთესს რაღას ნახევდა თვალითა კაცი ჭკვიანი?

17 როს დაუკრევდენ მგოსანნი, ტკბილად დაეწყით თქმანია, მათს ხმაზედ ამღერდებოდენ ბულბული, იადონია,ის ლხინი და სიხარული უცხო რამ გასაგონია, მეც ბევრი ვნახე იმ სრაში ლხინი და უკუყრანია.

18 ამ ცრუმ სოფელმან არ იცის ბოლოსა გატანებაო: მეფენიცა და სრებიცა სრულ ყველა განქარდებო, ვითარებისა ჟამთაგან სამნივე მოიშლებო, იმათ აჩრდილად ეს ჩემი სასახლე აშენდებო.

19 იმ სრებსა რის გზით შევადრი ამ ჩემსა აგებულსაო? მართლისა თქმა სჯობს ტყუილსა, ვერ დაუმძიმებ სულსაო; სახლებთან ბოდიშს მოვითხოვ - ნუ დააკლდებათ გულსაო: იმათი ერთი კედელი სჯობდა სულ აქა დგმულსაო. პასუხი სახლისა

20 "მეფევ, რად გვწუნობ სრაებსა? სხვას აქებ, ჰბრძანებ რაებსა? სიტყვით აგვიშლი დავებსა, მოჰყვებით თქვენ იგავებსა, სხვაზედ გვიძახი ავებსა - მაგით ვერ ჩაგვყრი ვაებსა! ჩვენც მოვიწონებთ თავებსა, უსტა ხელს დაგვითავებსა. 21 სიტყვებს მოგიგებთ ასებით, გკადრებთ - თქვენ გებაასებით: არ ვართ იმ სრებზე ნასებით, ავშენდით დიდ-დაფასებით. როს, მეფევ, დასხდეთ დასებით, ღვინოსა სვემდეთ თასებით, გული გვაქვს ამით სავსებით ასფოდელოსა მსგავსებით.

22 ვისაც აქ მოსვლა სურისა, კარი არ დაეგულისა; ვით ირემს წყარო სწყურისა, მე მათი ნახვა მსურისა, მოყვარული ვარ სტუმრისა, ჩემ-შიგან შემოსულისა, ჩემთვის უტკბოსნი სულისა, სასიხარულო გულისა.

23 ვერა მჯობს ერთი სახლია, მჭვრეტელთა გულსაწაღია, ახლოს მაქვს ტურფა ბაღია, მნახველთა დასაქაღია, მიბრძანდით, კარია ღია - ნახოთ კოკობი ვარღია, საღი აუვსე თასია - უკუყარონ დარღია.

24 ჩემებრივ არვინ, მგონია, არ არის საზარონია, როს ზაფხულისა დრონია, ყვავილნი დაუზრონია, იმღერონ ტკბილნი ხმანია, ვით სტვენდეს იადონია, ვინცა ლხინისა მდომია, ის არის გასაგონია!

25 ნუ მოუწყინებთ, მეფეო, თქვენს ჭირნახულსა სრასა-და! ლხინი მინახონ, უბრძანეთ, ვინცა ვინ გვერდ გახლავსა- და, თუ ავი მასპინძელი ვარ, ნუ ჰკადრებთ თქვენსა თავსა- და; აწ მოგახსენებ ბოდიშით, - ხელი

მიჰყავით სმასა და!

26 როს დასხდეთ აივანებში, ან ბალახანას სმიდეთო, თუცა ვერ დამხიარულდეთ, ანუ თუ მოიწყინდეთო, ნუმცა აილებთ სუფრასა, დღე იყოს - შეიბინდეთო, აქ შემობრძანდით ისევე - ლხინს ნახავთ, როგორც გინდეთო.

27 ვინც სმით დაიტანს ძალებსა, მეფევ, ნუ დამაბრალებსა, თუ დალევს დიდს სასმელებსა, აუშლის საქციელებსა, სიმთვრალე გაახელებსა, ეშმაკი დაახელებსა, ცოდვაში გარევს მთვრალეებსა, წარწყმედს, არ შეიბრალებსა.

28 ბევრსა ღვინოსა ნუ დალევთ. ცოტასა სმიდეთ გზიანად, მართებულს ლხინსა ნახევდეთ წყნარად და ნამუსიანად, აქ გაგიჩნდებათ ზნეობა, თქმა ხუმრობისა ზმიანად, გალობა დასდებელისა, ვინც იტყვის ტკბილის ხმიანად.

29 ლხინს ნახევდეთ უცოდველსა, თქვენ განმინათლეთ არეო, ზნეობა, საქციელები კარგ გვარად მოიხმარეო, ჭირვეულობას ვინცა იქთ - და თავი მოიჩქარეო, მეფევ, უბრძანე პანღურით, ცემით გააგდონ გარეო.

30 ვინცა ისხდეთ მართებულად ლხინშია არ მოწყენითა, ხუმრობას ჩამოართმევდეთ ერთი ერთს კარგ მოსმენითა, ვის შეუძლიან ხუმრობა სიტყვითა, თუმცა ზმენითა, მეფევ გიბოძებთ წყალობას, საბოძვრით აივსენითა».

მეფის პასუხი

31 "სახლო, სიტყვები გვიბრძანეთ, ბოდიში მართებულები, მადლს მოგახსენებთ მეფე და თავადნი, დიდებულები, ლხინით, შვებით და უკუყრით გახლავართ მხიარულები, აქ კაცი რის გზით მოიწყენს, სადამდის უდგეს სულები!

32 აქ რაცა კარგი სახლია, არ არის შენისთანაო, მაგრამ მუხთალმან საწუთრომ ბოლო ვის გაუტანაო! სჯობდა მემოვნა სარქრადა მსგავსი მარჩბივისთანაო, რაც რომ მე შენზედ ხარჯი ვქენ, იმისთვის მიმეტანაო.

33 ინდოეთს ხელმწიფესავით ჩემთვინა საქმე გაეგო, თომასებრ

უმუშაკოთა უცხო სასახლე აეგო, ჩემს სარქარს ესე სიტყვები უწინვე ადრე გაეგო, მესწავლებინა იმ გვარად - კეთილს საქმეზედ წაეგო.

34 სანამ საწოლი სარკითა, ვარაყით შეიმკობოდა, ორისა წლითა უწინვე სრა ესე აშენდებოდა, თებერვალისა თვეშია თამამად შესრულდებოდა, მას ჟამსა ქორონიკონი უნ მანი ანი ჯდებოდა».

### თავგადასავალი

1 როდეს ყეენმან სეფიხან ჰყო საქართველოს მცველია, ჩვენ განზნეულნი ვიყვენით, სადა ტყე იყო, ველია, ზაკვით გვეფიცა, მიგვინდო, იგ კაცი იყო მელია, მე, ამილახვარს, ერისთავს, თარხანს შეგვიკრეს ხელია.

2 ჩვენ გაგვზავნეს ყეენტანა შეპყრობილნი, ხელ- ხუნდებით, იგ ზოსიმე ხარჭაშნელი თან გვიახლა თვისის ნებით, პაატა და ნათანელი სულხან იყვენ ჩვენთან ხლებით, სხვა პაატა ტუსისშვილი და სოლომონ თავ- დადებით.

3 საგინასშვილი გიორგი თან გყვია, ისიც თავადობდა, ჯანგირაშვილი შათირი, შიოც მახლდა, გლეხ-კაცობდა, კახეთიდან ეს რვა კაცი წამოვიდენ, გვერდს მხლეობდა, ქართლიდამე ორი კაცი - ძევაძე და ოთარობდა.

4 ჩაგვიყვანეს ისპაანსა, ჩვენს სიკვდილსა მას დღეს ველი, განვერენით სიკვდილისგან, ღმერთმან დაგვდვა საფარველი, კვლა სოფელმან უარესი მოაწია განსაცდელი: შვილებს მთხოვენ, შემექნების დღე უწყალოდ დასასჯელი.

5 გაგზავნეს კახეთს ჩაფარი, არ ჩემთვის მოსალხენია, მათ დამიბარეს ქალ-ვაჟი, დღე მქონდა მოსაწყენია, სხვა ძე არ მყვანდა, გასინჯეთ, ვინც იყოთ კაცი ბრძენია, აღარვინ მრჩება ოჯახში, ვით მოვითმინო ძნელია?!

6 ისპაანიტგან გაბძანდა ხელმწიფე სპითა დიდითა, უბრძანა მეწინავეთა: «ყანდაარისკენ ვლიდითა!» იგ სამესისხლოდ აღძრული, არა გულითა მშვიდითა, ჩვენც თან წაგვასხმენ მაშვრალთა, არ იყვენ კრძალვა-

რიდითა.

7 რა წარვემართეთ ყანდაარს, ვიარეთ ავი გზებია, ბევრი გამოვვლეთ გზაზედა სიცხე და სიცივეებია, დიდად მაამეს, ვინც მახლდა, თავადი, მსახურებია, ჩვენ მოვაწივეთ ყანდაარს, ვართ ციხის მაქებრებია.

8 რაღას ვაგრძელო? მომესმა ამბავი საზარონია, მრქვეს: «მოიყვანეს მაშათსა შვილები შენნი ორნია». უმკვიდროდ გახდა კახეთი, ეს ჩემგან სააზრონია, ვთქვი: "მომეახლა უცილოდ სულთა აღმოსვლის დრონია!"

9 თვით ყეენმან უსამართლო საქმე მიყო მეტად ძნელი: გამომართვა ქალი პირ-მზე, ვისგან ნათობს ღამე ბნელი, ძმისწულს მისცა შესართავად, კვლა ბოძებას აღარ ველი, მე მისისა მოშორებით დამიწყულდა გული მრთელი.

10 იგი ძმისწული მაშათს ჰყვა, ქალი მას მისცა მთვარია, სახელად ერქვა ქეთევან, არს მზისა შესადარია, ვაჟსა უწოდდი ერეკლეს, არვინ მყავს მისი დარია, იგ თვით იახლა, მე დავრჩი - სიცოცხლე დასაზარია!

11 იგ თან ჩამოჰყვენ ერეკლეს თავადნი თავ-დადებითა, ომან, ჯიმშედ და გიორგი, ასლან ჰყვა თანა-ხლებითა, ბარამ, დავით და შერმაზან, ზაალ არს თავის ნებითა, მღვდელი ჰყვა, დავით, დიაკვნად პართენ არს სახელ-დებითა.

12 კიდევ ახლდენ მდაბალთაგან მონანი, მსახურებია, პატარ-კაცი და იოთამ ხამხამე, გლეხ-კაცებია, მგელია ერთი ქართლიდამ, ისიც ამათთან მხლებია, ქრისტიანენი ესენი, ოთხნი ჰყვეს მას თათრებია.

13 ალაღარი დილმაჯად ჰყვა, ქალბი ერქვა, ჯილაბდრობდა, მუსა იყო მსწრაფლად მსრბოლი, იგი ფიცხად შათირობდა, ადიგოზალ გაუყრელად სულ მუდამად ფარეშობდა, ჩვენნი იყვნეს ეს თათრები, ერთგულებით მოჰყვებოდა.

14 ვიყავ ყანდაარს მჭმუნვარე, არა გულითა ლხინობით, ვსთქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათმინობით, იქ დავასრულე, ვინც ნახოთ, ნუვინ იქნებით წყინობით, მაშინ ჯდა ქორონიკონი: უნი, კანი და ვინობით.

## გაბაასება რუსთველთან

1 მე უსწავლელსა ვით მეძლოს, ვისზედ ვსთქვი ანბანთ- ქებანი? ბრძენს უნდა ექო იმისი ციმციმი, ბრწყინვალეზანი, მინდა რუსთველსა შევჰკადრო სიტყვითა ბაასებანი, ვჰკითხოთ, რაზედ თქვა ლექსები ტკბილი, ღრმად მეტყველებანი?

2 ვუთხრათ: რად დაშვრი ტყუილზედ, რაც სთქვი, არ იყო წესიო, ამას მოწმობენ ქართველნი, იმერელი და მესხიო, არქვით მათ თქვენი ნათქვამი, - ნეტავი მე მასესხიო, -დიდათაც გამომადგება რუსეთსა მისი ლექსიო!

3 ნესტან-დარეჯან ვინ იყო, რომ აქო დაუცხრომელად? ტყუილის ტარიელისთვის სტირს ცრემლის შეუშრობელად, როს ღრმა ლექსებით შეამკობს მათ ენა დაუშრომელად, წყნარათა ვკითხოთ, არ გაწყრეს, არ დავრჩეთ შეუნდობელად.

4 აწ მოგახსენებ, რუსთველო, რაც ჩემი სიტყვა არი სად: ნესტანჯარ ესრეთ გიქია, არ თუ სხვის შესადარისად, «თინათინ მზესა სწუნობს»-ო, თქვენ ბრძანეთ, ქებად კმარისად, ცუდმადს მიჯნურსა ახელებთ ერთმანეთს გასახალისად.

5 არ გაგონილა ინდოეთს ნესტან-დარეჯან ქალადა, არცა ტარიელ კაცს ერქვას - გიწოდებია ძალადა! არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლ-ფიქალადა, ვერც ჰჰოებთ ავთანდილსაცა მის ეშყით დანამთვრალადა.

6 არა ყოფილა ფარსადან ექვს სამეფოზედ მჯდომელად, არცა განთქმული ინდოეთს, რომ ყოფილიყოს მფლობელად. გამოჩნდით მათთვის, ღირს ქმენით რას ლექსის შესამკობელად, ტარიელ, ნესტან-დარეჯან სთქვი ერთმანეთის მდომელად.

7 ეს შვიდნი სახელმწიფონი დიდნი, ვარგნი და არ ავნი,არც მჯდარა მეშვიდედ მეფედ სარიდან მტერთა მზარავი, არც კაცი, არცა ჰქონია სახლი, სამყოფი, კარავი გაკეთებული სიბრძნითა, - არ არის დასაფარავი.

8 არ თქმულა მეფედ არაბეთს როსტევან სახელდებულად, არც მის

ასულად თინათინ, რომ სხვას ვის ეთქვას ქებულად, ვერც ავთანდილზედ მემოწმენ იმისთვის თავდადებულად, - დაგისახავსა ტყუილად მიჯნურებ ცეცხლ-მოდებულად!

9 თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ, საკვირველია, თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია! «ვეფხისტყაოსნის» ლექსები სხვას ლექსთა გამკიცხველია,

საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.

10 შენი ნათქვამი საღმრთოდ, თუ საეროდ მოიხმარების, სჯობდა მას ზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეედარების, ევროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების, ვინც რომე ნათლობს ნიადაგ, შუქი არ დაემალეების! მიგება რუსთველისაგან

11 «ძმანო, არ ძალმიცს პასუხი არ მწარედ, არცა ტკბილადა, ეს ვერ შევიტყვე: მოდავედ ჩემზედ ვინ ატეხილა-და? ექვსასის წლის მკვდრის ბაასი აროდეს გაგონილა-და! მელექსე მელექსისაგან არას დროს დანდობილა-და!

12 ვინ არის ჩემზე მეტყველი? - შეტყობა, დია, მსურისა: თუ ვინმე დიდი კაცია, მიგდება უნდა ყურისა, არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა, ჭიანურისა, ზედან ამღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკას ცრუისა!

13 დიდის გვარისა თუ იყოს, ან კარგად ხსენებულო, ან მეფე საქართველოსი, ანუ თუ უფლისწულო, რასაცა გეტყვით, უამბეთ ეს ჩემი სიტყვა სრულიო, მკვდრის ლაპარაკსა რას აქნევს, კაცსა არ ედგას სულიო?

14 როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა, მაშინ მას ჟამსა მე ვიყავ შინა-ყმა თამარ მეფისა, კურთხეულმც არის ხსენება მპყრობელის დიდის ქვეყნისა, იმისგან პატივ-ცემული ვახლდი მდივანი სეფისა.

15 ფილოსოფია მესწავლა, წიგნი მეკითხა ბევრიო, მოსწონდა ჩემი მდივნობა, ვის მორჩილებდა ერიო, მიბრძანა: «რადგან ცოდნა გაქვს, ლექსები გამოსთქვენიო». გინახავს ყველას, მოგწონსცა სულ ჩემნი დანაწერნიო.

16 რადგან მიბრძანა, არ მქონდა მე საქმე დასალონები, ვპოვე ამბავი, ლექსად ვსთქვი, ვეჭვ, იყოს მოსაწონები, საღმრთოდ, საეროდ სრული და რა ტკბილად გასაგონები! კაცთათვის საკითხავადა სურვილით მოსანდომები.

17 უთქვამს, თუ: ცუდი შაირი მე ცუდად ვისზედ მეთქოსა? ტარიელ, ნესტან-დარეჯან ტყუილად სიტყვით მექოსა,ავთანდილ თინათინითურთ ზრახოს, არ ესახელოსა, რად უნდა ცილსა მწამებდეს, ჯავრითა გამახელოსა?

18 როს ქვეყანაზე ვცხოვრობდი, ვიყავცა გალაღებული, ხელმწიფე მყვანდა მაღალი, დიდადაც გადიდებული, მას დროს ქართველნი არ იყვნენ მტრისაგან შეწუხებული, მხიარულნი და შვებულნი ლხინობდენ გახარებული.

19 პაპას შენს - შენგან უკეთესს, ჰქონდა მას სიბრძნე გულისა, - მასაცა უთქვამს შაირი მიჯნურთა დადაგულისა, ვინც წაიკითხავს ჩემს ნათქვამს, - მიგდება უნდა ყურისა, - ჩემმან ლექსებმან ერთს ჟამსა პაპაცა გაგიგულისა.

20 რაც სიბრძნით ლექსები მეთქვას, დაგიგდებთ ქართველებსაო, მიჯნურობისა საქმესა სიტყვას დავწერდი მთელსაო, ევროპიაში ვის აქებს, რომ არ შეუდრის მზესაო? თუმცა აგრეა, ჩემს მეტი ვერ იტყვის შესაფერსაო!

21 თუ მე მაგ დროსა მეცოცხლა, გაგიმარჯვებდი მე დია, ვისაც შენ აქებ, მაგაზედ კარგს ლექსებს გამოვთქვემდია, რას სიტყვით შევამკობდი-და! - შენ კარში გაგაგდებდია! რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბედია!»

სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაზაასება

1 ვით ხელვჰყო აღძრვად სიტყვათა ვერ სიბრძნის ღირსმან

სწავლობით, ვერცა ღრმად გამომეტყველი რიტორებრ ენა მრავლობით? მხედავ კრძალვით და რიდლობით გამოთქმად, ართუ მძლავრობით,



ვადიდებთ ერთ-არსებითა ჩვენ ღმერთსა სამ- ბრწყინვალობით.

2 ესაიამ რა იხილა საყდართა ზედა მჯდომელი,

გარშეცულ ანგელოსთაგან დასნი ღვთის წინა მდგომელი, ცხრა დასი წმინდა არსისა, გალობის ტკბილად მხმობელი, გარ-უწერელად ძლიერი, უსაზღვრო, მიუწდომელი.

3 მე უსწავლელმან ვითა ვსთქვა აწ შესხმა სამებისანი? მის სიმაღლესა ვერ მისწვდეს სრულ ბრძენნი ხმელეთისანი, რაც მეძლოს, მით ვსთქვა, ვით მესმნეს, წერილთა მოთხრობისანი, სამ-ხატოვნებით მონება, ერთ-უფლად დიდებისანი.

4 ანგელე, ზენათ ბრწყინვალე, ცანთ, ვისთვის მოივლინების! ტომით დავითით მოსრულის ქალწულის მიმართ ინების, ჰრქვა: "გიხაროდენ, ასულო! გთნავს, არ თუ

მოგეწყინების." ამისდა მომართ უბიწო ხმა-მდაბლად გაცაჰკვირდების.

5 ხმობდა: "მეყავნ მე მსგავსადო შენისა ქადაგებისა!" შეიწყნარა რა უხრწნელმან ცხოვრება უცხოებისა, წამსვე მოვიდა მის ზედა სული ღვთის მოვლინებისა, წმინდა ჰყო, მისცა ძალი და სიტყვისა დატევნებისა.

6 უაღრეს ცნობისა მიერ ორ-კერძო ბუნებითაო, საზღვართა ქალწულებითა შობა იქმნების ღვთითაო, ესრეთ აგრილობს მას ძალი თვით გვამოვანი ჰკვითაო, სიბრძნე და ძალი ღვთაების არს მისის სწორებითაო.

7 ვითარცა საღრმთო რაიმე თესლი უბიწოდ სისხლთაგან, მისგან იშენოს ხორცნიცა უგიობელთა ნივთთაგან, სულიერ კაცად სულიცა, სიტყვიერთ ხმათა მისთაგან, გონიერ თბისა ჩვენისა პირველით მსგავსებითაგან.

8 არა თუ თესლოვნებისა, არა ამგვარის მსგავსებით, არამედ დამბადებლობის სახით არს ღვთისა ბრძანებით. არცა თუ მცირედ მცირედის შემატებისებრ სახებით, წარმოაჩინა საღმრთოსა მუცლად-ღებისა ცხადებით.

9 არამედ მყის სრულ იპოვა, აწ სცანით საქმე მისანი! თვით იგი სიტყვა ღვთისაჲ გვამ-იქმნა კაცებისანი, არა თუ პირველ გვამ-ქმნილთ ხორცთ შეერთო სიტყვა ღვთისანი, გარ-შეუწერლად მკვიდრ იქმნა ერთი ძე ღვთაებისანი.

10 რათა უხრწნელსა საშოსა მარადის ქალწულისასა, მიიხვნა ჩვენი ყოველნი მას შინა გვამსა თვისასა, ამისთვის მეყვსეულად მყის ხორცნი სიტყვასა ღვთისასა, ხორცნი მყისთანად სულიერ მსგავს გონიერი თბისასა.

11 ვინაცა არა ლიტონად, კაცად გესმინა ხმა მისა, ორად არსებად ვამტკიცებთ - რა ვსთქვა უამეს ამისა? თაყვანს-ვსცემ ძესა ღვთისასა, შობილსა მარიამისა, ღმერთი და კაცი სრულ ქმნილი, თვით თანასწორი მამისა.

12 ჩვენ ღმერთსა თაყვანის-ვცემდეთ სამებას სამის თვითებით: მამას უშობელს, ძეს შობილს, მამისა თანა დიდებით, სულსა წმიდასა, გამოსრულს მამისგან მოუწყინებით, სამს გვამს ვქადაგებთ ერთ-უფლად, ღვთაებით, ერთ-ხელმწიფებით.

13 მინდა აღმოვსთქვა მცირე რამ არა სიბრძნისა სადარი, თუმცა დამცალდა სოფლისგან. ან დღე მომეცა სადარი, არ მოგეწონოსთ, იკითხეთ: «ესე ნათქვამი სად არი?» ვსწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი იქით და აქეთ, სად არი!

14 «დაბადებასა» ვით დასწერს მხილველი ღვთისა მოსეცა: "დასაბამად ქმნა ღმერთმანო ცა და ქვეყანა, არეცა, განუმზადებელ იყო ეს, უხილავ, ვითა ღამეცა, ბნელ იყო სულა უფსკრულთა, თუცა ნათელი არ ეცა.»

15 სული ღვთისა წყალთა ზედა სამოქმედოდ იქცეოდის, ბძანა ღმერთმან: «ნათელ იყავნ!» - მასვე წამსა ნათელობდის, ღმერთმან ნახა იგ ნათელი, რომელ კეთილ იქნებოდის, გაჰყრის ღმერთი ნათელს-ბნელსა, ცალ-ცალკეცა გამრჩევლობდის.

16 ნათელს უწოდა დღედ სამე, ეგრეთვე ბნელსა ღამეთა, მოსე სწერს: "იქმნა მწუხრიო», ქმნად კმარა ეს ერთ ჟამეთა, განთიად იყო იგი დღე

პირველი რომელ ვწამეთა. ღმერთი ზრახვიდა პირის-პირ, ჩვენ მისგან შევიწამეთა.

17 ეს არის გულის განზრახვა აწ ჩემი, რაც რომ არისო. რადგან განწვალა ნათელი და ბნელი შორის არისო,დასდვა სახელი თავ-თავად, ამაზედ მოიხმარისო. გავაბაასო დღე-ღამე დრო არის,თქმადცა კმარისო.

18 აწ დაიწყებს თეიმურაზ არ კახურად ტრაბახებსა, ვინც ყურს უგდებს ამ ლექსებსა, ნახავს კაის სანახებსა, შურს ჩაუგდებს დღე-ღამესა, ერთმანეთზე აჯახებსა, ეს ვსთქვი მისთვის - დიდ-გუნებას მაინც სძრახვენ ჩვენს კახებსა. პირველი ბაასი - დღისაგან თქმა:

19 ახლა გამოჩნდეს დღე-ღამის ერთს-ერთზე უზესთესობა, დღეს დაეწესა ნათელი, ღამეს სიბნელის წესობა, დღე ეტყვის: "დაბნელების ჟამს კაცთ აქვსთ წუხილით კვნესობა, სინათლის მონატრულეთა ბაზმისთვის შექმნან კვნესობა.

20 მოგიტხრობ ტკბილის სიტყვითა, არ ძალით, არცა მხნეობით, თქვა ღმერთმან: «იყავნ ნათელი», სახელი დამდვა დღეობით, თვით მისგან დაბადებული შენზე ვარ ბევრ-გზის მეტობით, ღვთისაგან, არა არსებით, ყოფილხარ პირველ ბნელობით.»

ღამისაგან თქმა:

21 "ღამე მოგიტხრობ პასუხსა სიბრძნისა გულის ნაღები, მართლ-მეტყვი, ნათლად დაგბადა, მე ვარ შავითა ნაღები, რადგან განყოფით სახელ-გვდვა,ამით მაქვს პირი ნაღები,

არ მეტქმის უდარესობა, ვარ ღვთისგან გამონაღები.» დღისაგან თქმა:

22 "გეტყვი ნათელი ღამესა: შენს ამხანაგად მზევ რათა? დიდი ცთომილი მნათობი დღეს დაებადა მზერათა, როს აღმობრწყინდეს ქვეყანად, დაიწყებს ჩამომზერათა, მაშინ გამოჩნდეს სწორობა, მაჯობებ, თუმცა ვერათა?!»

აქა მზისა და მთოვარის ამბავი ღამისაგან თქმა:

23 "რას გიკვირს, თუცა ცთომილი, დღეო, მოგეცა ერთი-და? შენ თუ

წილად გხვდა მარტო მზე, მე ღმერთმან მომცა ექვსი და: მთვარე, ოტარიდ, მუშთარი - არ არის უარესი და, ზუალ, ასპიროზ, მარიხი მნათობი მუნ არესი-და!

24 სხვანი მრავალნი ვარსკვლავნი ჩანან, რა შელამდებისო, ვირე მზე ჩავა, პყრობილად არნ, ვერსამ გამოჩნდებისო, რა დაბინდების, თვით ცანი ვარსკვლავით შეიმკვებისო, ლამით ამთონი მნათობნი კირჩხიბით დაიხსნებისო».

დღისაგან თქმა:

25 "მართლად სთქვი, ბნელო, აწ შენის პირით მომეცა ნებანი, ვერ გამოჩნდების მზესთანა, შენ დახსენ მათი ქებანი, მთვარეს აქვს მზისგან მოცემით ცოტა რამ ბრწყინვალეზანი, მზესა სხვათ მნათობთ რით ადრი? - არ გამართებს მათზე შვებანი!

26 მზისგან აქვს მთვარეს მიზეზი ოცდათს დღეს გამოშვებითა, ერთი რომ იკლებს, ყოველს დღეს შეიქმნას დაძველებითა, დაიბადების თვის თავზე, იქნების განახლებითა, იზრდების გავსებამდინა, მას უკან ისევ კლებითა.

27 ამით იქმნას, თვით მთვარისა როს შეიქმნას განახლებით, მზე ბურჯებით დაახლოვდეს, მთვარეს განლევს გან ახლებით, არ გამოჩნდეს, სანამ მზე უდგს პირის-პირად ბრწყინვალეზით, რა მოშორდეს მზის ეტლს მთვარე, განახლდების გაცილებით.

28 ერთს კიდევ გეტყვი მთვარისას: როს იყოს დაჭირვითაო, ვარსკვლავთ-მრაცხველთა წიგნითა შეიტყონ წინა დღითაო, რა შეიყარნენ პირის-პირ, დაბნელდეს ისევ მზითაო, როსაც მოშორდეს მზე მთვარეს, იქნას შუქ-მოფენითაო».

ღამისაგან თქმა:

29 «მართლად სთქვი სიტყვა ზოგი რამ, ყველა არ არის სწორეთა, ღმერთმან თვით ორი მნათობი დაბადა მზედ და მთვარეთა, დღეო, ეს ორივ სწორეთა, შურსა ნუ უგდებ მწარეთა, ჩვენ მოგვცემია ღვთისაგან, განგვინათლებენ არეთა». დღისაგან თქმა:

30 "უბრალო სიტყვის მრავლობა ცუდია, ბნელო, ენითა, უზესთაესი მზე

არის, ნუ ხარ ამაზე წყენითა, რიტორნი, ფილოსოფოსნი აქებენ შუქთა ფენითა, ვითა შვენოდათ ქებანი, შეასხეს ბრძენთა ენითა.

31 არა არს ძლიერებით მზე, არც სიმდიდრითა თვისითა, ღვთისგან არს დაბადებული, ტომი არა ჰყავს თვისითა, არ დაუწესა მთოვარებრ ძველობ-ახლობა თვისითა, ბნელს განანათლებს, ადღეებს ბრწყინვალეობითა თვისითა».

ღამისაგან თქმა:

32 "დღეო, აწ მზესა, ნეტარ, ვით მთვარეს აჯობებ ასე რით? ერთი ვერ მჯობი ერთისა, გულს ნუ მიწყალებ ასერით, ორნივ შუქ-ფენით აღმოვლენ, რა აღმოსცილდეს ა სერით, სწორედ აქვსთ აღმოსავლეთი, მე გამამტყუნებ ასე რით?"

დღისაგან თქმა:

33 "რა არის ბევრი ლიქნობა, ბნელო, აზვავდი წამითო! ვინა სთქვა: «იყავნ ნათელი!» - რასთვის ვერ გჯობვარ ამითო? დადუმდი: მზესა-მთვარეზედ სხვას ლაპარაკსაც ვლამითო, მოვყვეთ, რაც ღვთისგან კეთილი მომხდარა დღით, თუ ღამითო»...აქა სამართლის ამბავი დღისაგან თქმა:

430 "დღისითა, ბნელო, მსაჯული დაჯდების სამართალშია, ნეტარ არს სწორედ გამგენი, მართალს არ გარევეს ბრალშია, ავს მოსამართლეს, მდივნებსა, ვინც გაერევა ქრთამშია, ეშმაკის ხელში ჩაცვივდენ, იწოდენ ცეცხლის ალშია.

431 თვით ღმერთი სინჯავს მსაჯულის სამართალს სწორეს მას დღესა, არ უნდა უდგეს მდიდარსა, საქმეს იქმოდეს სწორესა, ობოლთ-ქვრივთ შემაწუხებელთ სჩაგრავდეს უუძმლავრესა, ერთმან-ერთისა ავობა სამართლით უნდა გაწმდესა.

432 ბევრი ქურდობა და სიძვა, რამდენი ქმნილა ბნელობას, სისხლი უბრალო კაცისა დათხევით მისცენ მკვლელობას, დღისით ამაებს სამართლით გაწმიდენ ახალს ძველობას, ღამევ, შენ რას იქმ ამგვარსა, დღე ვიქმ ამ შუღლთა მშლელობას»...აქა ღამისაგან თქმა:

433 «დღეო, რას მოჰკვებ, მსაჯულმან დღითა ქნას სამართლობანი? დღისით იქნების ჩხუბი და ყოვლფერი ავ-კაცობანი, შური ასტყდების ღვინისგან, რა შეიქნება თრობანი, დღით მოვა, დღითვე განწმდება ეს არის სწორე თხრობანი.

434 ჯერ ვთქვა ცოტა რამ კაცთათვის, ღამით რაც ჰქონდეს შვება და, მით შვრების მუშაკობითა დღისითცა, ილალება-და, მზე ჩავა, შინასკენ წავა, ვახშამს სჭამს, ექნას ნება-და, ღამით დაწვების მამვრალი, ძილი აქვს მოსვენება-და».

აქა დღისაგან თქმა:

435 «რას ამბობ, როგორ დარჩების კაცი ძილით და წოლითო? ბნელო, მტყუნდები სამართლით, შენ მეუბნები ძალითო, კაცი ვერ დარჩეს ხმელეთზე, თუ არ სჯით, მუშაკობითო, რად ლაპარაკობ სულელად, ყმაწვილად, უჭკუობითო?

436 რა გათენდა, ყოვლი კაცი არის სახლის გაგებითა, ღამით, ბნელო, მწუხარეა, სანამ იყოს ნათებითა, რაც დღისით იქმს კეთილს კაცი სასმლის-საჭმლის სავსებითა, დასხდებიან მხიარულნი წინა სუფრის დაგებითა».

აქა მეჯლისის ამბავი დღისაგან თქმა:

437 «დღისით იქნების განცხრომა, ლხინი და ნადიმობანი, გაღმა-გამოღმა თქარ-თქარი, ლიზლობა, კაი ზმობანი, გალობის, სიმღერის თქმაზედ მეფეთგან გამცემობანი, გულ-უხვად დარბაისელზედ იყოს მრავალი ძღნობანი.

438 ამოუშვებენ შადრევანს, ბევრ-რიგ ასხემდეს აუზით, ვინც სვამს დიდს თასებს, ეტყვიან: «მალ დალევს, ხელი აუზით». ნეტავი მას დღეს, ვინცა ვინ ხელმწიფეთ ახლოსა უზით, თქვენ აივსებით საბოძვრით, ფრულით, აბაზით, აუზით.

439 ისხდენ მრავალნი მკვრელები, ერთმან-ერთს ტკბილად აბანოს, ზედ თქვან ლექსები მიჯნურთა, მით ცრემლით ღაწვი აბანოს, თამამად ზედან

წამოდგენ ქალ-ყმანი მაღლა ა, ბანოს. მუშაითს მისცენ ხალათი, ზედ წამოასხმენ აბანოს.

440 რამდენი რიგი ჭიდება იქნება ფალავნებითა, ძალით ვერ დასცენ ერთ-ერთი, მცდელია ბევრ

ფანდებითა, სხვის მოთამაშის მრავალთა მომსხმელი ჯამბაზებითა, საბელზედ გავლენ კისკასად სიფიცხით, ფერხ-მალებითა.

441 ბალშიგან წავლენ დღისითა, როს მოვა გაზაფხულიო, შიგ დასხდებიან სალხინოდ, აყნოსებთ ვარდის სულიო. მრავალს ფერს უცხოს ყვავილთა ხედვენ, ეხაროსთ გულიო, ბუთქში იძახდეს ბულბული ტკბილად, ვარდისგან წყლულიო.

442 მოჰკრეფენ ყვავილს ხელითა, ვარდისას შეჰკვრენ კონებსა. ვისაც სჭირს ვისი სურვილი, ცრემლს დაღვრის, შეიქმს ფონებსა, ვარდს გაუგზავნის მალვითა ბროლს გულზე დასაკონებსა, აწ შენ რას მომცემ პასუხსა, ამგვარსა დასაღონებსა?»

აქა ღამისაგან თქმა:

443 "მეც მომიგდე, დღეო, ყური, იყავ ჩემზედ დაცალებით, ლხინსა ჰკვებ და სიხარულსა, შენ ხარ, დია, თავის ქებით, - უზეშთაესს რამდენს მოსთვლი მეჯლიშს ღამეს დაწესებით? ბევრს რიგს დიდსა განცხრომასა - ღვთისგან იყოს მოსწავებით!

444 მეშვიდე საიდუმლონი მოცემით - ღვთისა ნებანი, ღამით აღსრულდეს კურთხევით ყმა-ქალის ქორწინებანი, რა მზადება არს წინათვე, ან მამათ, დედათ შვებანი! ყოვლს სულს უხარის, მას დღესა არა აქვსთ შეჭირვებანი.

445 ქალს მიუტანენ წინათვე მისატანს შეძლებითაო, ნიშნად მარგალიტს სინზედა დასდებს წინ მირთმევეითაო, მიმრთმევი ქალს ზედ შეაბამს ლოყაზედ წამოკვრითაო, შაქრის იარაღს მრავალსა წინ დასდგმენ ხონჩებითაო»...

აქა დღისაგან თქმა:

584 "ზნელო, თუმც გეყო ლიქნობა, ამ სიგრძე ჩემი თხრობანი, მეცა მომიგდე აწ ყური, რა არის ცუდი მბობანი? უდღეოდ მარტო ღამითა რით იქნას ქორწილობანი? უჩემოდ როგორ მოხდების ქორწილი, ან ძეობანი?"

585 დღისით მოხდების ქორწილის, ძეობის რაც რომ რიგია, სანამ დაღამდეს, სულ მათი საქმე მე გავარიგია, ლხინსა და გაჭირვებაში კაცისთვის ბევრი მირგია, კაცის სიცოცხლე დღე არის, სიტყვაცა მათი იგია.

586 თუნდა ლხინი ღამით მოჰხდეს, ქორწილი და ძეობანი, ბვრი სმა და გაუმაძღრად სიმთვრალე და ლოთობანი, როდის იყოს, თუ არ დღისით, ვაჟკაცთ ცხენზე ზნეობანი? გითხრა სროლა ყაბახისა, მოჭირვებით ბურთობანი».

აქა ყაბახის სროლისა და ბურთაობის ამბავი დღისაგან თქმა:

587 «როდის იქნების ქორწილი ან სხვა დღეობა კარგით, ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის, იყოს ვარგით, კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგით, კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: «სროლაში, მკლავო, მარგით!»

588 ცხენს ისხდენ კარგსა, დაკაზმულს რახტითა, უნაგრითაო, მძიმეს ნაკერის ორთუქით, ბუშტით და ყუთაზითაო, ვაჟკაცთა ეცვასთ კურტაკი ბრტყელისა ზორტებითაო, დაუწყონ სროლა ყაბახსა მათ ცხენის ჭენებითაო.

589 ასე უნდა მას დღეს კაცმან ამ გზით სროლას ეცადოსა, მკლავზე მშვილდი შემოიცვას, წელს ყოდალი გაირჭოსა, ცხენი შეძრას, პირველ მშვილდსა ხელით ფეშრი მან უყოსა, მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს, კილოს მაგრად დაზიდოსა.

590 უნდა მშვილდი დაზეული ცოტა ხანი გაატაროს, ჩქარად მიდგეს ყაბახზედა, ცხენი აღარ დააზაროს, ყაბახს მუხლი გააცილოს, მაშინ უნდა გარდიხაროს, ესროლოს, თუ ჩამოაგდოს, თავის გული გაახაროს.

591 ასე უთქვამსთ: «მისვლა სჯობსო უფრო ჩამოგდებისაგან». თუ ორივე სჭირს, ხომ ისი სჯობს, უფრო იქოს ბევრისაგან, სანამდის არ ჩამოაგდონ,



არ მოეშვნენ სროლისაგან, მას დღეს ღმერთი ვისაც მისცემს, მოხვდეს მისის ხელისაგან.

592 ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს, მიაერთმევს მეფეს წინადა, ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა თავი დამ ფერხამდინადა, დაამზადებენ საბურთლად ვაჟკაცებს ჩოგანითა-და, ცხენს კაცსა შეადარებენ წილისა მოღებითა-და.

593 ორად გაჰყოფენ, თვითოს მხარს თორმეტს იქმონენ კაცებსა, მობურთალს კაცის თავზედა მას დღეს მისცემენ ფარჩებსა, ზედ გარდაშლიან ფერადსა იქით და აქეთ მაყებსა, მათთვის სასმელად შარბათსა თულუხით დასდგმენ სავსებსა.

594 მობურთლებს ბურთი შეუგდონ შუაზედ მოედანსაო, იწყონ მოჭირვით ბურთობა, ცდილობდენ გარდახრასაო, ზოგი სცემს შიგნით და ზოგი ნაპირს ურბენდეს მზასაო, გამოუვარდეს გარს ბურთი, ეცადოს მოტაცნასაო.

595 მაშინ გამოჩნდეს, ვინც იყოს მაყამდის ბურთის წამლები, ეცადოს დაბრუნებასა სხვა კაცი ხელის დამლები, ხელ-უკუღმათა შემოჰკრას მაღალი, თავის სავლები, რა დაუბრუნოს მას ბურთი, იქმნების გულის სავლები.

596 ვინცა იცის კარგად ტაცნა, ცხენის ყელს არ აცილოსა, ასე უნდა გარდებხაროს, თავი აღარ აილოსა, ბურთი ჩოგნისა ცემითა მაყამდინა წაილოსა, ხელ გარდაყოფით შემოკვრა ზნეობაში ჩაიგდოსა.

597 გამოჩნდეს სადავის ცოდნა ჯრასა და ბურთობაშია, ვინცა ამ რიგად იბურთებს, იქნების ამხანაგშია, რომელიც იქით და აქეთ გაამძვრენს ბურთს მაყაშია, ჯობნა ეს არის! - გახევენ ფარჩებსა აღებაშია.

598 აიღონ თვითო თვითომან, ამხანაგს ვინც აჯობისო, ცხენს აჭენებენ, იძახდენ: «მჯობი ვარ ამხანაგისო, ჩვენ შევიქნებით წითლისა ფარჩით შემხვევი ჩოგნისო!» ეს კი გათავდეს, სხვა რიგი ვთქვა ბურთის თამაშობისო.

599 ერთი არის სხვა ბურთობა რადრაბაგანს ეძახიან, გადრის ბურთის

უფრო ესე ზნეობაში ჩააგდიან, ბევრს კი არა, სამს-ოთხს კარგსა მებურთაღსა შეადრიან, ოთხისათვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდიან.

600 ის არის, რომე ცხენ-მალეთ ბურთი აიღოს ჩოგნითა, უნდა შეიგდოს მან მაღლა ცხენისა თამაშობითა, როს ჩამოვიდეს, ხელ-ფიცხად მიუხდეს კაის ცოდნითა, რა ბურთი შეხტეს, შემოჰკრას ხელ-რადათ მაღლა ტყორცნითა.

601 ბურთი შეიგდოს, ეცადოს მერმე ფეშრების ქმნასა-და, სანამ ჩამოვა, დაასწრებს ჩოგნისა შეგდებასა-და, ჩოგნისა ქათალ-მალაყი კვრამდინა დაასწრასა-და, ის ჩაუვარდეს სამჯერა, ზედი-ზედ თუცა ჰკრავსა-და.

602 ორი რადათა მესამედ უნდა წინ ამოკვრანო, უნდა დაასწრას ამოკვრას ქიჩილოვას ქნანო, ესეები ქნას, შესძახოს «ჰეე-ჰევიას» ხმანო, დასრულდა ეს ხომ, დრო არის აწ სხვის ზნეობის თქმანო?»

აქა აშფაშაგის სროლა

603 "ერთია კარგი ზნეობა: სროლა ვთქვა აშფაშაგისა, პატარა დასვან ნიშანი ქალაღდის, ანუ რაცისა, როგორც ყაბახზე მისვლა არს, მასზედაც ისრე არისა, დაზევით მივა ცხენ-ფიცხად, ხელ-მობრუნებით ესვრისა.

604 სხვა გითხრა კიდევ, მოედანს ცხენს როგორ გააჭენებენ: ორს კაცს ცხენიანს - ერთს იქით, ერთს აქეთ დააყენებენ, შუაზედ გზასა აგდებენ, კარს ისე გააკეთებენ, დასძვრენ ცხენსა, ჰკვრენ მათრახსა, ჯერ თავს არ დაანებებენ.

605 პირველ თავის შენახვითა ცხენი ყირით მიჰყვანდესა, რა მოვიდეს კარის ახლოს, იქ მათრახი კიდევ ჰკრესა, გასარბენლად კარზედ ფიცხად ცხენს დააყრის სადავესა, მესამეს ჰკრავს, კიდევ აზევს, რა რომ კარსა გასცილდესა».

აქა ისრით ნადირობის თქმა

606 "ცხენზე ზნეობა კაცისთვის მისთვის სჯობს სხვასა შვებასა, ვიმოწმებ ბრძენსა რუსთველსა, ვიტყვი მის თქმულსა ყველასა, მაშინ გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა, აწ გეტყვი ნადირობასა, ვაჟკაცთა

გახარებასა.

607 ოდეს მოუნდეს მეფეთა გულზედა ნადირობანი, კაცი გაგზავნონ ჯელგისთვის, დაუწყონ მოგრობანი, სოფლეურთ შეჰყრის სწრაფათა გზირისა მალლა ხმობანი, შესხდენ, წავიდნენ მინდორად - წვრილად მწადს მისი მბობანი.

608 მოვიდნენ მინდორს, სადაცა ბევრი ჯერანი დგებისა, გაგზავნონ ჯელგა ღამითვე, სულ გარე შემოერთყმისა, გათენდეს, დარჩეს ნადირი, ალყას შუაზედ რჩებისა, მეფე-ვაჟკაცნი დახარდენ მესროლნი კარგ ისრებისა...»

აქა ღამისაგან თქმა:

694 "დღეო, რით ამბობ სიტყვასა, რაზე ხარ ჩემზე მეტობით? ნუ მოჰკვებ, დია, ჩემზედა, ნუ ხარ თავისა ხედობით, ნადირობაში მე წილსა არ მიდებ ძალის მქნელობით, იქნების, დღისით ვერ მოკლას კაცმან ნადირი ბნელობით!

695 დიამც, ღამითა მფრინვლისა მოტევა არა მოხდესო, სხვა ნადირობა სულ ყველა რად არ იქნების ღამესო? ყვირილობაში ბევრს ხარსა მოჰკვლენ, რა იდგეს მთვარესო, ხარი უმატებს მთვარეში ყვირილსა გასაკვირესო.

696 ღამით იქნების ამ გვარი ნადირობანი ღორისა: კვალს ნახვენ, ზამთარს უვლია, საცა ბილიკი არისა, ბილიკს შეუკრავს მეთოთე, მოუვა, რაკი ნახისა, ესვრის, თუ მოჰკვლავს, უხარის კაცსა სიკვდილი ტახისა.

697 შემოდეგზედა საჩქვეფლად ტახი მივიდეს გუბზედა, კვალს ნახვენ მონადირები, თქვან, თუ: «უვლია სულ ზედა». ღამით დაუსხდენ საყურში, ღორი მოუვა მზაზე-და, ესვრის მეთოფე ტახს ახლოს, თოფსა ჰკრავს ბანებაზედა.

698 თევზი რომე სთქვი, ღამითა განა არ დაიჭირების? ღამით გამოვა ნაპირსა - კარგ გვარად ინადირების, სანთხეველს ესვრის მეთევზე, ზედ თევზზედ გარდაიშლების, გამოსწევს ბადეს სავსესა, წყლიდამე გამოიღების.

699 ორაგული რომ დაუწყებს შემოდევზედა თხრასაო, უწინვე ნახავს მეთევზე, ნათხარს შეამჩნევს წყალსაო,რა დალამდების, წავიდეს, ბარჯი ეჭიროს მზასაო, მკვარსა აუნთებს, შიგ დახვდეს - ორაგულს დასცემს ბარჯსაო.

700 ბევრს მოჰკლავს კაცი ორაგულს თხრაშიგან ბარჯით ღამითა, რა გაათავებს თხრას თევზი, მერმე დაბრუნდეს დაღმითა; კაცი დაიჭერს კიდევა მრავლისა ფაცრის ჩადგმითა, ღამით იქნების ფაცრობაც, იჭერენ ერთს თვეს ამითა

701 წყალი როდესაც აღიმღვრას გაზაფხულისა პირსაო, მას დროსა კაცმან კონითა წყალი სულ გაუკრისაო, თევზი წამოვა პირადმა, მის დროს შიგ ჩაცვივისაო, კონიც ხომ ღამით ისაქმებს? - მთქმელი ვარ მართალისაო!»აქა ომის ამბავი დღისაგან თქმა:

702 «ბნელო, რას სჩმახავ სიტყვასა, რად ხარ ტყუილის მდომია? შენ შემედარო ნათელსა - ვერ იტყვის კაცის ტომია! აწ მოვყვე შებმას დღისითა, როგორ იქნების ომია, გამოჩნდეს მაშინ მამაცი, გულ-სრული, ვითა ლომია.

703 დააწყონ რაზმი ოთხ რიგად, წინ მეწინავე იდგესა, სხვა დროშა მეორე ზურგად მეფეს მემარჯვენეთ უდგესა, მარცხნივ მხარს მესამე დროშა მემარცხნეთ გაარიგესა, მეფე მეოთხეს დროშითა სამს დროშას უკან ვლიდესა.

704 თვითოს რაზმსა უფროსადა სარდალი ჰყავს მარიგებლად, ადრითგანვე მიცემული დროშაზედა ჯარი მხლებლად, თავადი და გლეხი ბევრი დროშას ახლდეს შესაბმელად, უნდა იყოს თვითო რაზმი თორმეტ ათას, არ ნაკლებლად.

705 რაზმს თვითოს წინ ჰყავს მეთოფე ქვეითი, ცხენიანია, ქვეითს, ცხენიანს თავ-თავად ჰყავს მიჩენილი თავნია, მემუზარი უდგს უკანა, შეკაზმული აქვსთ ტანია, საომრად დამზადებული მოსაწონია ყმანია.

706 რა შეიქნას მტერი მტერზე ერთმანეთზე მიწეული, ჯერ დასცლიან ზარბაზნებსა, ხმა აქვსთ ზეცას აწეული, მერმე ესვრის ქვეითობა, ჩახმახი

აქვსთ მოწეული, მასთან დასცლის ცხენიანიც მეთოფეცა გულად სრული.

707 ერთმანერთზე რა დასცლიან თოფს, შეუტევს მეშუბარი, მეწინავეს სხვა დროშები ზურგს მოაბამს, ვით კლდე მყარი, ვინცა ვარგა ვაჟი-კაცი, წინ მივიდეს, არ დამდგარი, «თორმეტს შუბზე გარდაწყვეტა» - უთქვამსთ, დადებული არი.

708 გამარჯვებული შუბები თორმეტი გასტეხს მტერსაო, რაკი გაიქცეს თვით მტერი, ვინ შეუნახავს ხელსაო? შიგ გაერევა ვაჟკაცი, ვით ბარი გუნდში ტრედსაო, მათ ჩამოყარონ მტერი და ბევრს გამოსჭრიდენ ყელსაო.

709 რა შეედრება კაცისთვის გამარჯვებულსა ომსა-და!მას დღეს ვის მტერი მოუკლავს, მართმევს ბატონს თავსა-და, წყალობას უზამს ხელმწიფე, ჩააცმევს კარგს ხალათსა-და, ზოგს მისცემს საჯილდაოთა მამულსა სახელოსა-და.

710 დამარცხებულს კაცს მოქნევა შუბის დიდ ჩაუვარდების, კარგია, გამარჯვებული კაცი თუ დაიკოდების, წინ იყოს ცოტად დაჭრილი, სახელი დაუვარდების, დიდად მიიჩნევს ყველაყა, მტერსაცა შეუყვარდების.

711 ხელმწიფე ადგეს გარშემო ციხესა, - მართებს შიშობა, ყუმბარის სროლა, ზარბაზნის და ნაღმის მიცემულობა, - ეს ყველა იქნას დღისითა მას ზედა იერიშობა, აიღონ ციხე, მათ დარჩეს იმისი გაწყობილობა.

712 დღისით იქნების მტრის სახლში ცხენითა თარეშობანი, ბევრის სოფლისა დარბევა, ჯარისგან ნაშოვრობანი, გამარჯვებულთა ვაჟ-კაცთა შეექნასთ ნადიმობანი, აწ ამას რა სჯობს, შენ მითხარ, თუცა გწადს კიდევ მბობანი?!»

აქა ღამისაგან თქმა:

713 "ღამით არ მოვა კარგიო, შენ ამბობ, თუ არ დღისაგან, მეც გეტყვი ამის პასუხსა, ჯერ არ დავმდგარვარ თქმისაგან, მტერსა ეშინის ღამითა ბნელობას თავს დასხმისაგან. მძლავრს ჯარსა ამ გზით მოშლიან, სხვას რით დააკლებს რისაგან?

714 დიდსა ჯარსა თუ პირდაპირ დღისით ვერვინ მოერევის, ღამით თავსა დაესხმიან, კაცი ხლმით შიგ შეერევის, შეუტყობრად დასხმა მტერსა ფეხს აუდგამს, აირევის, ამ გზით გატყდეს მძლავრი ჯარი, დამარცხდების, გაიქცევის.

715 დღისით არ იქნას თარეში, თუ ღამით არ ივლისა-და, ჯარმან იაროს ღამითა, ჩქარად გამვლელმან გზისა-და, ინათებს, თარეშს გაუშვებს მომთხრელი სოფლებისა-და, უღამოდ დღე რასთვის ვარგა, მარტო რად იქნებისა-და?..»

აქა დღისაგან თქმა:

781 "ბნელო, ვით გფერობს ტყუილი, სიტყია სთქვი ბევრი ნაზები, ჩემი და შენი ადგილი შორს არის დანახაზები, მიჯნურთ ამბავი წარმოსთქვი, არც მე მაქვს პირთა რაზები, ყური მომიგდევ, გაუწყო, არ თურე მოგცე არზები.

782 დღე მზიანი შვენებითა ვით ესწოროს ღამე ბნელსა? ამასა ჰკვებ: «მიჯნურთ შევყრი, ადვილად ვიქ საქმეს ძნელსა!» შენში ბევრი უჯეროსა იქმენ ღვთისა საწყინელსა, მართალს უბნობ: უწყობით მოალორებ კაცსა ქველსა!

783 როს მეუღლენი ღამოდენ შეყრასა ღვთისა ნებითა, დღისით მიიღონ კურთხევა ერთმანეთისა თნებითა, ქორწილით, ლხინით, განცხრომით, იყვნენ ყველანი შვენებითა, მათ ერთმანერთი უყვარდესთ, იყვნენ სჯულ-დამტკიცებითა..»

აქა კაცის სიკვდილის ამბავი ღამისაგან თქმა:

793 "დღეო, ბევრი სთქვი კაცისა შვება და სიხარულები, მე არ ვეჭვ, გაჰყვეს ბოლომდის, არა ჰყოს დანაჰმუნები, ვინცა მიენდოს სოფელსა, მან გაიავოს გულები, ამაღ არ მიკვირს სიცრუვე და მისგან დანაწყლულები.

794 რადგან რომ კაცსა ბოლომდის სიკვდილი არ აცილდების, როს მოიწევა, ვინ უწყის ღამეა ანუ დილდების, თვისტომთა, საყვარელთაგან თვალთაგან ცრემლი მილდების, შექნან გლოვა და ტირილი, მზე მათი მიუჩრდილდების.

795 ერთსა შოშობსა იქივე თვით იტირებენ მკვდარსა-და, მერე ჭირისა-უფალთა შეასხმენ სხვასა სახლსა-და, მხლებელთა დასხმენ ცხედართან მისატირებლად მზასა- და, გამართვენ კიდევ ტირილსა, ამოუშვებენ ზარსა-და.

796 რა გავა პირველ სახლიდამ, ტირილი არის ქვრივისა, ჭირისუფალთა თავია და გული უფრო სტკივისა, მას ორნი-სამნი მხლებელნი თმა-გაშლით მისდევს, კივისა, სხვაც ბევრნი მექვითინენი ქვითინს უცემენ მივისა.

797 შევა ცხედარზე, ტირილსა რაც მართებს, გაასრულებსა, გაიგლიჯება დიდათა, ქვრივი თავს მოიძულებსა, გამოიყვანენ ტირილით, რახან იჯერებს გულებსა, საჭირისუფლოს სახლშია ძლივლა მიაწევს სულებსა.

798 ქვრივი რა დაჯდეს, მოთქმასა დაიწყებს გარდაცემითა, სხვა წავა ჭირისუფალი ტირილით, თავში ცემითა, ზარით გაუძღვნენ ყოველნი, იყვნენ გულ დანა ცემითა, ტიროდენ მკვდარსა გულ-წყლულად, სიტყვით აქებდენ, ენითა.

799 ვინც არის ჭირისუფალი, თავ-თავად მივლენ ტირილით, ერთმანერთს მიუტირებენ წუხილით, გულის ტკივილით, რა გაათაონ, სხვანიცა მივლენ თავს ცემით, ჩივილით, ფარჩას წახურვენ ცრემლისა დათხევით, არ თუ ღიმილით.

800 ორს საღმრთოს კაცსა უჭირავს მოტირალისა ხელია, ზარის თქმით მივა, იტირის, იხმაროს საქციელია, ფარჩას მხარზედა გარდიშლის, ეგრე მიუძღვის მღვდელია, ზედ გარდაფინოს ცხედარსა, მღვდელსა ჩამოსდის ცრემლია.

801 ცხედარზედა მოტირალი გულ-მხურვალედ იტირებსა, მიცვალებულს ტკბილის სიტყვით შეამკობს და მას აქებსა, ცხედართ თანა მსხდომთ უტირებს, გულზე ცეცხლსა მოუდებსა, მგლოვართთან რა შეიქცეს, ცრემლი ღაწვთა უსველებსა.

802 ჭირისუფალთა უტირებს ყველასა ჩამორიგებით, მათ მოტირალი უტირებს კაის სიტყვით და რიგებით, დასმენ მას, ქვრივი მოუთქვამს არა

კრძალვით და რიდებით, თავს შეაბრალებს შვილებსა, ყველას სიტყვისა მიგებით.

803 მას ღამეს გაათენებენ მოთქმითა, ტირილითა-და, გაასხმენ ჭირისუფალთა კიდევ ზარისა თქმითა-და, დილაზედ გამოიტრონ მათ მკვდარი დიდის ხმითა-და, მერმე შემოსონ ბერები თავისის კრებულთა-და.

804 მკვდარსა შემოსენ მას ჟამსა, შემოახვევენ ტილოსა, ჩაასვენებენ კუბოსა ძნელსა, არ საადვილოსა, ვით იტყვის კაცი მაშინდელს ტირილსა, თვალთა მილოსა! მუნ მყოფთა ცრემლნი ზღვაობენ, იმეგობრებენ ნილოსა.

805 ზარი უთხრან ჭირისუფალთ მათ ცხედრისა წაღებაზე, ქვრივი მივა ბნელ-მოხვევით, თუცა იყოს პირადა მზე, გაგლეჯილი ეხვეოდეს საყვარლისა კუბოსა ზე, წაასვენონ, იგ კი დარჩნენ უიმედო სულის დგმაზე.

806 ვით ჰფერობს ქრისტიანეთა, დამარხვენ მიცვალებულსა, რიგს უზმენ ჭირისუფალნი, რაც მართებს გაოხრებულსა, ზარით დაჰფენენ ნიშანსა საღამოს დაბინდებულსა, პირველად მედომაქენი მზას იქმენ ქვეშ-დაგებულსა.

807 ქალის ახალუხს ჩასდებენ, მასთანვე უნდა ქმრისანი, იქ დასხდენ მედომაქენი, გამშლელნი იყვნენ თმისანი, ზედ ადგეს მღვდელი მოსილი, მკმეველი საკმეველისანი, სხვას სახლს დაჰფენენ სუზანსა - წესია ხელმწიფისანი.

808 დროზედ გარდშლიან ნიშანსა, ქათიბსა და მერმე ტყავსა, ორნი ყულნი ცოცხალსავით განკრძალვითა ადგნენ თავსა, ოქროს ხმალსა დაუდებენ ქათიბისა მარცხნივ მხარსა, დააფენენ ტანისამოსს, ნაცვამია კაცის ტანსა.

809 ჭირისუფალთა მოეცვას მათთა ნიშანთა არენი, თვალ-მარგალიტით შემკული, ოხრობით შესაზარენი, დიდებულთ ცოლნი ტირიან, ხმა ისმის ამაღ მწარენი, საბრალოს ხმითა ვაებენ ქალნი მნათობთა დარენი.



810 ცხენებს დააბმენ მკვდრისასა უკულმა შეკაზმულებსა, მეჯინიბეთათ-  
ხუცესი ზინდრით უჭირისუფლებსა, პატრონისათვის ტირილით  
ამოირთმევენ სულეზსა, ვინც მოტირალი უტირებს, შეუწუხებენ  
გულებსა.

811 მესამეს ღამეს დახურვენ ქვრივსა ლეჩაქსა შავსაო, პირისფარეში  
მოიტანს, ეუბნებიან ზარსაო, დიდი ტირილი იქნების, შავს რომ  
დახურვენ თავსაო, საქართველოში კარგ გვარი ლხინი და ჭირი არსაო.

812 თხუთმეტამდინა ღამითა იტირონ ნიშანზედაო, გამოიტირონ თავს  
ცემით, პირ-ხოკვით დილაზედაო, გათავდეს თხუთმეტი რა დღე,  
დაადგრენ მოთქმაზედაო, კიდევ ნიშანსა დაჰფენენ, კვლავ ტირან  
ორმოცზედაო.

813 ორმოცზედა მკვდრის პატრონი, რაკი გამოიტირებენ, ნიშანს  
ჭირისუფლებისკენ თავს-ცემითა წაიღებენ, შევლენ სახლში ზარის  
თქმითა, დაიჩოქვენ, ისე რებენ, ჭირისუფლებს ტირილითა ნიშანს  
ჩამოურიგებენ.

814 გაათავებენ ტირილსა ორმოცის გამოსვლაზედა, ნახევარს წელსა  
იტრონ და ერთსა წელიწადზედა, მასუკან ხელი აიღონ ტირილსა და  
მოთქმაზედა. რაცა ვსთქვი ლხინი და ჭირი, ღამით ეს მოვა კაცზედა.

815 ახლა თქვენ ბრძანეთ, ნათელო, მე დავასრულე სრულადო, სულ  
მოგახსენე ამბავი, რაცა მდებია გულადო, მე ამხანაგი ვყოფილვარ, არა  
გხლებივარ ყულადო, ვერასფერშიგან ვერ მჯობხარ, თავს დავდებ არ  
ნაკლულადო.» აქა დღისაგან თქმა:

816 «ბნელო, ვეჭვ, გეყო ამდენს ხანს ბევრი რამ ცუდი თქმანია, გიჯობდა,  
რომე ჩემთანა არ ამოგელო ხმანია, არ ხარ ჩემს სწორად, ღვთისაგან ესე  
მჭირს წყალობანია, მე ნათელი ვარ, შენ ბნელი - ეს ჩემად ქებად კმანია.

817 ამას ამბობ: «როდეს კაცის თავს სიკვდილი მოვიდესო, ტირილი და  
ზარის თქმანი ღამით უნდა გარიგდესო». მიცვალებულს რაში არგებს  
ბევრსა ვინმე ტიროდესო? მკვდარსა უჯობს დამარხვა და მისთვის  
გლახას მისცემდესო!

818 დღისით უყონ მიცვალებულს პანაშვიდი, წირვაები, გლახაზედა გაცემა, და მისთვის იქნას ალაპები, ესე ყველა დღისით იქნას მკვდრის სულისა საქმეები, მეორედა მოსვლა გითხრა, საშინელი სახეები».

აქა მეორედ მოსვლის ამბავი დღისაგან თქმა:

819 მართლ გეტყვი, სწორედ არ ვიცი - დღით მოვალს ანუ ღამითა, «მეც არ ვიციო» - თვით ბრძანებს კაცობრივისა ძალითა, ასე ვთქვათ: ღამით მოვიდეს, გინა ბნელობის ჟამითა - ბნელი განქარდეს ღვთის მოსვლით, განსჯიდეს სამართალითა.

820 როს მოვიდეს ძე კაცისა განსჯად მრავლის დიდებითა, ანგელოსნი მისნი მასთან ცხრა გუნდითურთ დასებითა, მაშინ დაჯდეს საყდართა ზე დავითისა ღვთაებითა, ესე დღისით აღსრულდების, არა ღამით, ბნელებითა.

821 როს გარდამოხდეს მეუფე განსჯად მკვდართა და ცხოველთა, მაშინ დასცემენ საყვირსა შესაკრებელად ყოველთა, მყის მოიწინეს წინაშე მავალნი წყალთა და ველთა, ნატრიდენ მოხუცებულნი ყრმათა, ძუძუთა მწოველთა.

822 მარჯვნივ და მარცხნივ განრჩევით დგომას იწყებენ მონანი, მაშინ შეიქნას განკითხვა, კეთილ-ბოროტთა წონანი, მართალნი ბრწყინვენ, არიან სასუფეველსა მგონანი, ცოდვილთ ჰრცხვენოდესთ, შეიქნენ გულ ლახვარ- განაწონანი.

823 მაშინ მსაჯულმან მარჯვენით მდგომთა მიხედოს ტკბილადა, ჰრქვას: «კურთხეულნო, მკვიდრობდით სასუფეველისა შვილადა, ვისთა ტრფიალთა გდიოდათ თვალთაგან ცრემლი მილადა». მარცხენით წყევა მიიღონ, გახდენ ეშმაკის წილადა.

824 ოდეს იქმნეს აღსასრული, განსჯად ქრისტე გარდმოხდების, მის წინაშე სამართალი ყველა დღისით გარიგდების, თუ არ მარტო ჯოჯობხეთში, ბნელი ყველგან განქარდების, ღამე სრულად უჩინოა, ღვთის მადლითა განათლდების.

825 აწ დავასრულოთ დღისა და ღამისა ბაასობანი, ეს კმარა საჩხუბავადა,

ისევ მათ უჯობს წყობანი, მეც მომეწყინა ლაყაფი ბევრი, ამ სიგრძე  
თხრობანი, გავათავე და კიდევამეყო ამ ლექსთა მზობანი.